

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: სლავისტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სლავისტიკის მაგისტრი / MA in Slavonic Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი დავიდ გოცირიძე

სრული პროფესორი მარიამ ფილინა

ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე,

პროგრამის ანალოგი.

სამაგისტრო პროგრამები სლავისტიკაში ხორციელდება მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტებში, მათ შორის:

- Columbia University-department of Slavic languages
http://www.columbia.edu/cu/gsas/departments/slavic_languages/departement.html
- The University of California - Germanic, Slavic and Semitic studies.
<http://www.catalog.ucsb.edu/cerrent/depts>
- Stanford University - Russian, East European and American studies
<http://gradadmission.stanford.edu/contacts.html>
- Ohio State University, Slavic and East European languages and literatures-
<http://humanites.osu.edu/aboutus/newfacacpositions.cfm>
- University of Victoria - Germanic and Slavic studies.
<http://www.uvic.ca/student/grad>
- Harvard. Regional Studies - Russian, Eastern Europe and Central Asia -
http://gsas.harvard.edu/programs_of_study/regional_studies-russia-eastern
- University of Leicester - <http://www.le.ac.uk/internal.htm>
- Chicago. Slavic Languages and media studies - The University of Chicago –
http://www.sras.org/the_university_of_chicago_post_doctoral_fellowship.
- Cambridge - Department of Slavonic studies
- http://www.cam.ac.uk/slavonic/fac_of_modern_and_medieval_languages

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.

ა) პროგრამის მიზანი:

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, საერთაშორისო კონტაქტების ინტენსიფიკაციისა და ევროპულ კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეში ორგანული ინტეგრაციისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებზედაც დიდი მოთხოვნაა თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში;

შესაბამისი საკადრო რეზერვის ფორმირება სლავური ქვეყნების ენების, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის დარგში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელსაც შეეძლება მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები ამ ქვეყნებთან ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებში ურთიერთობისას და წარმოადგინოს ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე;

პროგრამის მიზანია პროფესიული ცოდნის ფუნდამენტის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული ანალიტიკური რეკომენდაციების შემუშავებაზე ენის, ლიტერატურის, კულტურის, და სხვა სფეროებში; საერთაშორისო პროფილის სლავისტიკის მომზადება შესაბამისი ენობრივი კომპეტენციით;

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდა სპეციალისტების ფუნდამენტურ, მულტიდისციპლინარულ მომზადებას სლავისტიკის სფეროში;

პროგრამის ინოვაციური მხარე განპირობებულია სლავური სამყაროს შესწავლისადმი სისტემური დისციპლინათმორისი მიდგომით კომუნიკაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე.

ბ) სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსის დამთავრების შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება:

- სლავური ლიტერატურების (მინიმუმ ორის) ისტორია,
- ერთ–ერთი სლავური ენა,
- სლავური ენების, კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ტენდენციები,
- სლავური ქვეყნების ისტორია,
- თანამედროვე რუსული სამეცნიერო, მედია და ბიზნესკომუნიკაციის ენა,
- სამეტყველო ურთიერთობის ძირითადი კომუნიკაციურ–პრაგმატული ერთეულები და მათი ფუნქციები;
- სლავური ლიტერატურების ტიპოლოგიური ურთიერთკავშირების ძირითადი საკითხები;
- მაგისტრანტი დაეუფლება სლავური ენების და ასევე რუსული და ქართული ენების
- შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდებს და
- მიიღებს სხვა აუცილებელ ცოდნას სლავური მენტელობისა და სლავური სამყაროს შესახებ.
- პროგრამის მოსმენის შედეგად მსმენელებს ეძლევა შესაძლებლობა აითვისონ ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამები სლავურ ფილოლოგიაში; აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფილოლოგიური განათლებისა და სლავურენოვანი მასმედიის სფეროს ენობრივი უზრუნველყოფის სფეროში არსებული მოდერნიზაციის პროცესში.

პრაქტიკული უნარები

- პროგრამა ორიენტირებულია საბაზო კომპეტენციების განვითარებაზე, რაც საშუალებას მისცემს მომავალ სპეციალისტებს იმუშაონ საერთაშორისო საინფორმაციო სივრცის გლობალიზაციის პირობებში.
- პროგრამის ათვისება უზრუნველყოფს სლავური სამყაროს კომუნიკაციურ სივრცეში თავისუფლად ორიენტირების და ჩამოყალიბებული საექსპერტო დასკვნების გაკეთების უნარის შემუშავებას, კონკრეტულ ადამიანებთან, სახელისუფლებო ორგანოებთან და მასმედიასთან მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, პრობლემათა საექსპერტო–ანალიტიკური და პროფესიული შეფასების უნარის ფორმირებას.
- პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენების, პრობლემის ფორმულირების, მისი განხორციელების ეტაპების დაგეგმვის, ამოცანათა გადაწყვეტაში ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გამხორციელების უნარების შექმნას.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები

კოგნიტიური უნარები:

- პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე სლავისტიკის ზოგადი პრობლემების კომპარატივისტულ, დესკრიპციულ, ტიპოლოგიურ, ასოციაციურ და კროსკულტურულ მეთოდების გამოყენებით კვლევა;

- მომიჯნავე დისციპლინების მონაცემთა გამოყენება ამა თუ იმ რელევანტური ამოცანის საკვლევად და გადასაჭრელად;
- შესასწავლი დისციპლინის პრობლემატიკიდან გამომდინარე ამოცანების გადაჭრა და გადაწყვეტილების მიღება, დროის სწორად გამოყენება;
- ჯგუფში, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ, სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა.

საკომუნიკაციო უნარები:

- სწავლის შედეგად შეძენილი კომპეტენციის საფუძველზე ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური ურთიერთობა როგორც ქართველ, რუს, პოლონელ და სხვ. უცხოელ კოლეგებთან.
- უცხო ენის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე სლავთმცოდნეობაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და მასში კოდირებული ინფორმაციის ამოცნობა და გამოყენება;
- უცხოელ კოლეგებთან როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ინფორმაციის გაცვლა და სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა.

ტექნოლოგიური უნარები:

- მონაცემთა ბაზის შედგენა ინდექსებითა და საძიებლებით;
- დამოუკიდებელი კვლევისთვის საჭირო ბიბლიოგრაფიის მომზადება და შერჩევა როგორც ქართულ და რუსულ, ისე უცხოურ ენებზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

სოციალური უნარები:

- შეძლებს ეფექტურ მუშაობას დამოუკიდებლად და ჯგუფში, როგორც წევრის, ისე ხელმძღვანელის როლში; შეეძლება ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობების სწორად გამოყენება, კონფლიქტური სიტუაციების აცილება.

სისტემური უნარები:

- არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი;
- სლავისტიკის პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემთა მოძიების, განმარტების და გამოყენების უნარი;
- სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების შესახებ მოსაზრებების ამსახველი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მის განხორციელება უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით;
- სლავისტიკის დარგში დამოუკიდებლად კვლევის დაგეგმვა და მისი განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- სამეცნიერო ლიტერატურის ახლებურად გააზრება კონკრეტული ემპირიული მასალის მოხმობით.

გ) დასაქმების სფეროები:

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სპეციალური განათლების მიღების შემთხვევაში, კულტურულ და მთარგმნელობით ცენტრებში, ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო სავაჭრო და კულტურულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებში, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში. უპირველეს ყოვლისა, ამ პროგრამის დაუფლება მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის დარგში

პროფესიონალ მკვლევარად ჩამოყალიბებისათვის, სწავლების გაგრძელებისათვის დოქტორანტურის საფეხურზე ანუ სამაგისტრო პროგრამა მტკიცე საფუძველს ქმნის სამეცნიერო კარიერისათვის.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

- ნებისმიერი სპეციალობის (სასურველია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებათა და განათლების მეცნიერებათა) ბაკალავრის ხარისხი.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სასპეციალიზაციო გამოცდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

კვლევითი კომპონენტი.

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა (ყველა შემოთავაზებული თემა ეყრდნობა სლავური ენებისა და ლიტერატურების მასალას):

1. ენა, კულტურა და სოციალური ქცევა
2. კომუნიკაციური სტრატეგიები პროფესიულ ურთიერთობაში.
3. ენობრივი კონტაქტების სოციოლინგვისტიკა.
4. დიალოგის ინტერდისციპლინალური პრაგმატიკა.
5. კომუნიკაციური სტრატეგიები სასწავლო დისკურსში.
6. მასობრივი ინფორმაციის ლინგვისემიოტიკა.
7. ენობრივი ცნობიერების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა.
8. ვერბალური კომუნიკაცია ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში.
9. ინტერესთა ბალანსი კულტურათმორისი ურთიერთობის სივრცეში.
10. ლიტერატურის ისტორიის პრობლემები.
11. სლავური ქვეყნების შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა.
12. სლავური ლიტერატურები ეპოქის პონტექსტში .
13. სლავური ლიტერატურები თანამედროვე სამყაროში.
14. სლავური ლიტერატურების ტიპოლოგია

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უნივერსიტეტის და ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბიბლიოთეკები, რესურს ცენტრი თსუ მე 2 და მე 5 კორპუსებში.

პროგრამაში მონაწილე პროფესორები:

დავიდ გოცირიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 მარიამ ფილინა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 მარინა ალექსიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
 ნატალია ბასილაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
 მაია თუხარელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
 ნოდარ ფორაქიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი;
 გიორგი ჟუჟუნაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ პროფესორი.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
სავალდებულო საგნები (60 კრედიტი)			
	თანამედროვე რუსული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები	სავალდებულო	5
	უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორია	სავალდებულო	5
	სლავური კულტურისა და დამწერლობის საწყისები	სავალდებულო	5
	სლავური ქვეყნების ისტორია	სავალდებულო	5
	სლავური სამყაროს ეთნოფსიქოლინგვისტიკა	სავალდებულო	5
	რუსულენოვანი სამეტყველო კომუნიკაციის პრაგმატიკა	სავალდებულო	5
	რუსული ენა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	სავალდებულო	5
	რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზის მეთოდები	სავალდებულო	5
	რუსული სამეცნიერო დიეკურსი	სავალდებულო	5
	რუსეთის უახლესი ისტორია	სავალდებულო	5
	პოლონური ენა	სავალდებულო	10
არჩევითი საგნები			
	სლავური პარემიოლოგია	არჩევითი	5
	ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები	არჩევითი	5
	ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები	არჩევითი	5
	საქართველო და რუსეთი: ისტორია და თანამედროვეობა	არჩევითი	5
	თანამედროვე რუსული ლიტერატურათმცოდნეობის შეფასებითი კრიტერიუმები	არჩევითი	5
	რუსული ბიზნესკომუნიკაცია	არჩევითი	5
	ქართულ-რუსული ენობრივი კონტაქტები	არჩევითი	5
	მხატვრული ტექსტის სტრუქტურა	არჩევითი	5
	ენობრივი კოდი მედიაკომუნიკაციაში	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		120

საგამოცდო საკითხები

რუსული ენა და ლიტერატურა

1. Фонологическая система русского языка.
 2. Лексическая система русского языка.
 3. Основные типы фразеологических единиц русского языка
 4. Типы образования слов в русском языке.
 5. Морфология: грамматические значения, грамматические категории, грамматические формы.
 6. Имя существительное.
 7. Глагол. Причастие. Деепричастие.
 8. Синтаксис простого предложения.
 9. Синтаксис осложненного предложения.
 10. Типология сложного предложения в русском языке.
 11. Роман А.С. Пушкина «Евгений Онегин»: история создания и особенности жанра.
 12. «Лишний человек» в русской литературе 19 века – эволюция образа.
 13. Основные мотивы лирики М.Ю. Лермонтова.
 14. Н.В. Гоголь «Мёртвые души»: национальное и общечеловеческое в персонажах.
 15. Романы И.С. Тургенева - воплощение общественных настроений и исторического момента.
 16. Тема преступления и наказания в романах М.Ф. Достоевского.
 17. Малая проза Чехова - вершина русского реализма.
 18. Истоки и особенности русского символизма.
 19. Основные мотивы лирики Б. Пастернака.
 20. Сюжетные и тематические уровни романа М. А. Булгакова «Мастер и Маргарита».
- რუსული ენის ფონოლოგიურ ერთეულთა ძირითადი ტიპები.
 - სიტყვათწარმოების ტიპები რუსულ ენაში.
 - მორფოლოგია: გრამატიკული მნიშვნელობა, გრამატიკული კატეგორიები, გრამატიკული ფორმები.
 - არსებითი სახელი.
 - ზმნა. მიმღეობა. აბსოლუტივი.
 - მარტივი წინადადების სინტაქსი.
 - გართულებული წინადადების სინტაქსი.
 - რთული წინადადების ტიპოლოგია რუსულ ენაში.
 - ა. ს. პუშკინის რომანი "ევგენი ონეგინი": შექმნის ისტორია და ჟანრის თავისებურებანი.
 - "ზედმეტი ადამიანი" XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში: მხატვრული სახის ევოლუცია.
 - მ. ი. ლერმონტოვის ლირიკის ძირითადი მოტივები.
 - ნ. ვ. გოგოლი. "მკვდარი სულები": ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პერსონაჟებში
 - ი. ს. ტურგენევის რომანები: საზოგადოებრივი განწყობილებებისა და ისტორიული მომენტის განსახიერება.
 - დანაშაულისა და დასჯის თემა თ. მ. დოსტოევსკის რომანებში.
 - ა. პ. ჩეხოვის მცირე პროზა - რუსული რეალიზმის მწვერვალი.
 - ბ. ლ. პასტერნაკის ლირიკის ძირითადი მოტივები.
 - მ. ა. ბულგაკოვის რომანის "ოსტატი და მარგარიტას" სიუჟეტური და თემატური შრეები.
 - რუსული ენის ფონოლოგიური სისტემა.
 - რუსული ენის ლექსიკური სისტემა.

ЛИТЕРАТУРА

- Аванесов Р.И. Русское литературное произношение. М., 1972.
 Белошапкина В.А. Современный русский язык. Синтаксис. М., 1977.
 Виноградов В.В. Русский язык (Грамматическое учение о слове). М., 1986.
 Грамматика современного русского литературного языка. М., 1970.

- Розенталь Д.Э., Голуб И.Б., Теленкова М.А. Современный русский язык. М., 2005.
Русская грамматика. Т. 1-2, М., 1980.
История русской литературы XIX века. Под редакцией Н. Скатова. 1 – 2 том. Москва: «Просвещение», 1987.
Роговер Е.Ф. Русская литература XIX века.
Роговер Е.Ф. Русская литература XX века. СПб. – М., 2004
Боевский С.Ф. Очерки русской литературы XX века. М., 2003.